# რა ღირს „დუტაპროსი?“




ალიონი. მას შემდეგ, რაც ფარმაკოლოგიური მრეწველობა, ჯანდაცვის ობიექტები და სადაზღვევო კომპანიები რამდენიმე მსხვილ კომპანიაზე გადანაწილდა, მნიშვნელოვნად იმატა მედიკამენტების ფასებმა. როგორც ამბობენ, ეს მათი ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე არ მომხდარა.

რედაქციაში მოსული მოქალაქეები გვიყვებიან თუ როგორ ხდება წამლებზე თითქოსდა ფასდაკლებების პროცესი.

ამ რამდენიმე ხნის წინ, მოქალაქე მ.ნ. მოგვიყვა, როგორ მივიდა ღამით. ქ. ოზურგეთში, ერთ-ერთ ცნობილ აფთიაქში მისთვის საჭირო მედიკამენტის შესაძენად. ვინაიდან მას მედიკამენტის შესაძენად საჭირო თანხის რაოდენობა არ ჰქონდა (აუხსნეს, ღამით მეტი ღირდა მედიკამენტი), მეორე დღეს მივიდა იგივე აფთიაქში (ის დღე აფთიაქს ფასდაკლების დღედ ჰქონდა გამოცხადებული). „ფასდაკლებითაც“ იგივი ფასი დაუსახელეს..

3 ნოემბერს, გაზეთ „ალიონის“ რედაქციას კიდევ ერთმა მოქალაქემ წერილობით მომართა:

***„მყავს მეუღლე პროსტატით ავად, რომელსაც სჭირდება წამალი „დუტაპროსი.“ მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს აფთიაქ „იმპექსში“ რეცეპტით შევიძინე 30 კაპსულა აღნიშნული წამალი. ოპერატორმა რეცეპტი არ გააფორმა და გადამახდევინა საწყისი ფასი - 35,15 ლარი.***

***მეორე დღეს. როცა მივაკითხე, მენეჯერმა მიპასუხა, რომ ეს წამალი იქედან მოდის ფასდაკლებით, ჩვენ არ ვაკლებთო, ხოლო ვინც მომყიდა, იმან მაშინვე მითხრა, რომ წამლის ფასმა მოიმატაო.***

***გთხოვთ, დამეხმაროთ და გამარკვიოთ, მეკუთვნოდა თუ არა ამ ფასის გადახდა. ადრე, როცა ფასი ვიკითხე, მითხრეს, რომ რეცეპტით ყოველდღე გვაქვს 20%-იანი ფასდაკლება და ღირს 28,15 ლარიო.***

***ც. სიმონიშვილი, ანასეული.“***

ქალბატონმა ცაცამ ისიც გვითხრა, რომ „დუტაპროსი“ მის მეუღლეს 6 თვის განმავლობაში უნდა მიეღო, რომ ქირურგიული მკურნალობის საჭიროება არ დამდგარიყო და როცა მათ სხვა მედიკამენტებიც ხშირად სჭირდებათ, არ იყო ადვილი პენსიონერებისათვის საკმაოდ მაღალი თანხის გადახდა.

გაზეთ „ალიონის“ ჟურნალისტთან ერთად, აფთიაქ „იმპექსის“ მიმდებარე სხვა აფთიაქებში მოვიკითხეთ აღნიშნული მედიკამენტის ფასი.

გურიის ქუჩაზე მდებარე

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №44 (10134), 9 ნოემბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

# ოზურგეთელები ოდესის ოლქის გუბერნატორის განკარგულებაში?

**ალიონი.** „ოდესა — ეს არის ქალაქი, რომლის დიდი პოტენციალი გამოუყენებლია. და ეს არ არის სისუსტე, ეს უნიკალური შესაძლებლობაა. ამ ქალაქსა და რეგიონში ყველაფერი შესაძლებელია. ჩვენ გვჭირდება ახალი ადამიანები, ახალი მიმართულება, რომ ოდესაში მოვიზიდოთ უფრო მეტი ტურისტი და ინვესტორი ამ ქალაქისგან შეგვიძლია მსოფლიო სასწაული შევქმნათ. ჩვენი მიზანია, ხელოვნური კონფლიქტები წარსულში დავტოვოთ და საზოგადოება გაერთიანდეს, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ ენაზე საუბრობენ ისინი" — განაცხადა ოდესის ოლქის გუბერნატორმა, მიხეილ სააკაშვილმა ოდესაში მოსახლეობას მიმართვაში.

არ ვიცით, რამდენად ეხმაურებიან სააკაშვილს სხვა ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ მედიაში მის „გუნდში“ არაერთი „ზონდერის“ გვარმა გაიჟღერა. ეს თემა სააკაშვილის მიერ რამდენიმე გახმაურებული სატელეფონო საუბრების შემდეგ უფრო აქტუალური გახდა.

როგორც ამ დღეებში გაზეთ „ალიონს“ რედაქციასთან დაახლოებულმა პირმა უთხრა, „ახალ ადამიანებს“ შორის ოზურგეთელებიც არიან, თუმცა არა მშენებლები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, არამედ წინა წლებში სხვადასხვა ძალოვან უწყებებში და სამართალდამცავ სტრუქტურებში მომუშავე პირები. როგორც გვითხრეს, ერთ-ერთ მათგანს საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც.

რედაქცია ამ პირთა ვინაობას აზუსტებს და შესაბამის ინფორმაცის უახლოეს პერიოდში გაგაცნობთ.



# მოხდება თუ არა დაბა ნარუჯის კულტურის სახლის დემონტაჟი და რა გაკეთდება მის ადგილას



**ალიონი.** ნარუჯის კულტურის სახლი, რომელიც არა მხოლოდ ამ დაბაში, არამედ მთლიანად ოზურგეთის რაიონში კულტურული ცხოვრების ერთგვარი ბარომეტრი იყო, თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის. გამოცხადებულია ტენდერი შენობის დემონტაჟზე.

ნარუჯელი მოსახლეობის აზრი ამ საკითხზე ორად არის გაყოფილი, ერთი ნაწილი ეთანხმება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას კულტურის სახლის დემონტაჟის შესახებ. მეორე ნაწილი კი კატეგორიული წინააღმდეგია და მიიჩნევს, რომ ამ შენობას დასანგრევი არაფერი სჭირს. არიან ისეთებიც, რომლებსაც საერთოდ არ აინტერესებთ, რა მოხდება მშობლიურ დაბაში.

ნარუჯის საჯარო სკოლის პედაგოგი ნოდარ ხოზრევანიძე ამბობს, რომ შენობის დემონტაჟი, ალბათ, ერთადერთი სწორი გამოსავალია შექმნილი სიტუაციიდან:

„ჩემი აზრით, აქ შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი სწორი გამოსავალი, ალბათ, შენობის დემონტაჟია. გარედან კიდევ ჰო და შიგნიდან რომ შეხედავ, უარესს ვერაფერს ნახავ, დარბეულია, ტუალეტად და პირუტყვის სადგომადაა ქცეული აქაურობა და ეს ყველაფერი ხდება დაბის ცენტრში. არის რეალური საშიშროებაც, აქვეა საჯარო სკოლა, რომელშიც 400-მდე ბავშვი სწავლობს, გამორიცხული არ არის, რომელიმე მათგანი ამ დარბეულ შენობაში შეძვრეს და უბედურება დატრიალდეს“.

მეორე რესპოდენტმა, რომელიც მედიასთან უბრად უნდა იყოს და რომელმაც თავისი ვინაობის დასახელებისაგან თავი შეიკავა, ხელისუფლების შეცდომად მიიჩნია როგორც კულტურის სახლის შენობის დემონტაჟის გადაწყვეტილება, ისე თავის დროზე დაბის ადმინისტრაციული შენობის კერძო პირზე მიყიდვა:

„რას გეტყვით, იცით? არაფერი არ ჭირს ამ შენობას დასანგრევი. უნდა დავანგრიოთო რომ თქვეს და დემონტაჟზე ტენდერიც გამოაცხადეს, სანაცვლოს რას ააშენებენ? უკაცრავად ვარ და რისი ტ... აქვთ მაგათ?! თუ სიმართლე გაინტერესებთ, მარტო ჩემი კი არა, ნარუჯელების უმრავლესობის აზრით, ხელისუფლების მხრიდან დიდი შეცდომა იქნება ამ შენობის დანგრევა, როგორც თავის დროზე დიდი შეცდომა იყო ადმინისტრაციული შენობის კერძო პირისათვის მიყიდვა“.

დაბის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ბერიძე ფიქრობს, რომ ამ შენობის დემონტაჟი არ მოხდება, იმდენად დაბალია სატენდერო თანხა.

„ჩემთვის ცნობილია, რომ შენობა ამორტიზებულად არის მიჩნეული, აუდიტიც იყო და შეფასებაც გაკეთდა,

გვ-2

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

*ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით*

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**ღაინწუეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

## მოხდება თუ არა დაბა ნარუჯის კულტურის სახლის დემონტაჟი და რა გაკეთდება მის ადგილას




მაგრამ არა მგონია, ამ შენობის დემონტაჟი განხორციელდეს, იმდენად დაბალია სატენდერო თანხა“.

ერთი შეხედვით, შენობის ექსტერიერი არ ტოვებს ამორტიზებულის შთაბეჭდილებას, მაგრამ ინტერიერში ნამდვილი ჯოჯოხეთია. ყველაფერი იავარქმნილი და წაბილწულია. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ყველაფერი ადგილობრივი მოსახლეობის „ნახელავია“, მაგრამ საამისოდ ცხრა მთას იქედანაც რომ არავინ ჩამოვიდოდა, ესეც ცხადია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის ბადრი გობრონიძის თქმით, კარგად თუ დავაკვირდებით, სწორედ ვიზუალიდან ჩანს, რომ შენობა ამორტიზებულია და აუცილებელია მისი დემონტაჟი:

„ბოდიშს გიხდით, მაგრამ კარგად თუ დააკვირდებით, სწორედ ვიზუალიდან ჩანს, რომ შენობა თავიდან ბოლომდე ამორტიზებულია და ყველანაირი საშიშროებისა და გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მისი დემონტაჟი. დაბის ცენტრში, ამ ადგილზე კი სავარაუდოდ გაკეთება დაახლოებით ისეთი სკვერი, როგორც სოფელ შემოქმედში გაკეთდა“, – აღნიშნა „ალიონთან“ საუბარში ბადრი გობრონიძემ.

## რა ღირს „დუტაპროსი?“

„პსპ“-ს აფთიაქში 30 აბი „დუტაპროსი“ 4 ნოემბერს 37,35 ლარი ღირდა. სხვა დღეებში იგი 43,95 ლარი ღირს.

იქვე, გურიის ქუჩაზე №18-ში მდებარე „ჯი-პი-სი“-ს აფთიაქში,- 15%-იანი ფასდაკლებით 37,15 ლარი (ძირითადი ფასი 43,95 ლარი);

43,95 ლარი ღირდა დასახელებული მედიკამენტი „ავერსის“ აფთიაქში. აქ ფასდაკლებით იგი 39,10 თეთრი ღირდა.

შპს „იმპექსფარმის“ ოზურგეთის აფთიაქში გამყიდველ ნინო ლომთაძეს რეცეპტი წარვუდგინეთ:

– 35 ლარი და 15 თეთრი ღირს 30 კაფსულა „დუტაპროსი“-გვიპასუხა მან.

–ფასდაკლებით?

–28 ლარი და 12 თეთრი უნდა გადაიხადოთ.

ამის შემდეგ აფთიაქის მენეჯერს ნატალია ქარცივაძეს გავაცანით ც. სიმონიშვილის განცხადება და ვკითხეთ: რატომ არ გავრცელდა მომხმარებელზე აფთიაქში დაწესებული შეღავათი.

ქალბატონმა ნატალიამ გვიპასუხა, რომ მედიკამენტებზე ფასები ხშირად იცვლება და 30 კაფსულა „დუტაპროსი“ ამ დღეს მათთან არა 35,15 ლარი, არამედ 43, 94 ლარი ღირდა. გამყიდველი გოგონა პრაქტიკანტია და ფასი შეეშალა. როცა იგი დაკვეთას გააფორმებდა, საწყობში გაირკვეოდა, რომ მომხმარებელს ფასდაკლებით არა 28,12 ლარი, არამედ 35,15 ლარი უნდა გადაეხადა...

სხვადასხვა აფთიაქში კონკრეტული მედიკამენტის ფასი აჩვენებს, რომ „იმპექსფარმი“ ცოტათი ნაკლებ ფასებში ჰყიდის მედიკამენტს, მაგრამ კონკრეტული შემთხვევებში მომხმარებელთან მეტი პასუხიმგებლიანი დამოკიდებულებაა საჭირო, რადგან მედიკამენტების მომხმარებელთა უმეტესობა პენსიონერები და სოციალურად დაუცველი მოქალაქეები არიან.

## დაბა ნასაკირალში რკინა-ბეტონის გზები მოეწყო



დასრულდა რკინა-ბეტონის ბეტონის გზების მოწყობა დაბა ნასაკირალში. სტიქიით დაზიანებული ადგილები ნასაკირალის ტერიტორიულ ერთეულში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე, პირველ რაიონში, თამაზ ირემაძისა და ფრიდონ პაიჭაძის საცხოვრებელ სახლებთან, ასევე, მესხების უბანსა და სახანძროს დასახლებაში შეკეთდა.

სამუშაოების ღირებულება ჯამში - 89 826 ლარს შეადგენს.

რეაბილტირებული ადგილები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა - გოჩა აბაშმაძემ და ამავე სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა რევაზ გუდაძემ მოინახულეს.

## ასკანის გზის მშენებლობა მომავალი წლისთვის ვერ დაფინანსდება

**ალიონი.** ხელისუფლების დაპირების მიუხედავად, მომავალი წლისთვის ასკანის გზის მშენებლობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ვერ დაფინასდება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4 ნოემბრის სხდომაზე ასკანის მაჟორიტარი დეპუტატის ილია მამალაძის კითხვას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ბადრი გობრონიძემ იქვე უპასუხა.

საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ საკითხზე ამომწურავი პასუხის მისაღებად „ალიონი“ ბადრი გობრონიძეს შეხვდა:

„საქმე ისაა, რომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოყოფილი აქვს მხოლოდ 5,7 მილიონი ლარი, რომელიც მუნიციპალიტეტის 28 ტერიტორიულ ერთეულზე უნდა განაწილდეს. ბახვიდან ასკანამდე 7 კილომეტრი სიგრძის გზის მშენებლობა კი 4 290 000 ლარი ღირს. ამიტომ ხსენებული ფონდიდან ამ პროექტის განხორციელება შეუძლებელია. სხვა გზები და სხვა ფონდები უნდა გამოინახოს, მაგალითად, მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც ითხოვს მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადაფინანსებას ან კრედიტის აღებას.

თუმცა, შესრულდა გარკვეული სამუშაო. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 35 ლარით მომზადდა ამ გზის მშენებლობის პროექტი“,– განაცხადა ბადრი გობრონიძემ.

## კომპანია მოსახლეობას უფასოდ დაურიგებს ყუთებს



„ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია - დავით სიხარულიძე“ 15 ნოემბრიდან სრული დატვირთვით ამოქმედდება.

სოფელ ნატანებში ხილის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს აგროპროექტების ფარგლებში გასულ წელს განხორციელდა.

ქარხანაში მოწყობილია ციტრუსის დამახარისხებელი ესპანური წარმოების ხაზი, რომელიც მანდარინს ზომების მიხედვით ახარისხებს. მოქმედებაშია სამაცივრე აგრეგატები, რომელთა საშუალებით, გარდა ციტრუსისა, სხვადასხვა ხილის საჭირო ტემპერატურაზე შენახვაა შესაძლებელი.

როგორც კომპანიის ხელმძღვანელი დავით სიხარულიძე განმარტავს, პავილიონი საექსპორტო მანდარინზე მუშაობს.

გარდა ამისა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში, წელს პირველად დაიწყეს ციტრუსოვანთა მოსათავსებლად სპეციალური პლასტმასის ყუთების დამზადება. მეციტრუსეებისთვის პრობლემას წარმოადგენდა საკმარისი ყუთების შოვნა ციტრუსის რეალიზებისთვის. კომპანია წელს მოსახლეობას უფასოდ დაურიგებს საჭირო რაოდენობის ყუთებს. ციტრუსის ჩაბარება-გაყიდვას ორგანიზებას სოფლებში კომპანიის წარმომადგენელი გაუწევს.

## განიხილეს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ეტლების გადაცემის საკითხი



6 ნოემბერს, გურიის გუბერნატორის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, სამხარეო ადმინისტრაციაში მუნიციპალიტეტების სოციალური დაცვის სამსახურის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე სოციალური მიმართულებით არსებულ ხარვეზებზე ისაუბრეს და მათი აღმოფხვრის გზებზე იმსჯელეს. დაისვა საკითხი სოციალური პროგრამებისა და ერთჯერადი ფულადი დახმარებების შესახებ.

ქეთევან მოისწრაფეშვილმა ყურადღება გაამახვილა სამედიცინო ცენტრებსა და სოფლის ამბულატორიებში არსებულ იმ ძირითად საკითხებზე, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია. დეტალურად განიხილეს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ეტლების გადაცემის საკითხი.

# საკრებულოს მორიგი სხდომის პირდაპირი ტრანსლაცია სატესტო რეჟიმში

თემურ მარშანიშვილი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავისი მორიგი სხდომა წელიწადის მეთერთმეტე თვის პირველივე დღეს გამართა. პროექტის „მართე სახლიდან“ ფარგლებში, რომელსაც საკრებულოსთან ერთად, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ახორციელებს, სხდომის პირდაპირი ტრანსლაცია სატესტო რეჟიმში მიმდინარეობდა და პირდაპირი ჩართვებით ნარუჯის, ლაითურის, მერიის, ლიხაურის, გურიანთისა და ურეკის მოსახლეობას საშუალება ჰქონდათ, არა მარტო თვალი ედევნებინათ წარმოდგენილი პროექტების განხილვისა და ნორმატიული აქტების დამტკიცებისთვის, არამედ პირდაპირი ჩართვებით ოპერატიულად მიეღოთ პასუხები მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე.

„არა მარტო ამ დაბებიდან და სოფლებიდან, არამედ მუნიციპალიტეტის ნებისმიერი ტერიტორიული ერთეულიდან ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება, გახდეს ჩვენი სხდომების აქტიური მონაწილე. თქვენი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ჩვენ ვართ ხალხის ხმა საკრებულოში, ამიტომაც აქ მიღებული გადაწყვეტილებები სრულად უნდა პასუხობდეს ამომრჩევლის ინტერესებს და ეს პროექტიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება“ - მიმართა მოსახლეობას სხდომის დასაწყისში საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ.

### ცვლილებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში

სხდომამ ცვლილებები შეიტანა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში, რომელიც შემოსავლებისა და გადასახდელების ნაწილში 723 423 ლარით გაიზარდა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის № 2195 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, წლეულს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და საექსპერტო მომსახურებისათვის, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 681 923 ლარი.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ სხდომაზე მიღებული დადგენილებით, შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები გაიზარდა 41, 5 ათასი ლარით. კერძოდ, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 41,5 ათასი ლარით. საბიუჯეტო კალსიფიკაციაში შემცირდა: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კავშირგაბმულობის ხარჯი - 6,0 ათასი ლარით; ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა, სოციალური დახმარება, ფულადი ფორმით - 0,8 ათასი ლარით.

გაიზარდა: სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, სხვადასხვა კაპიტალურ ნაწილში - 681,923 ათასი ლარით; გარე განათება, ელექტროენერგიის ხარჯის ნაწილში - 4,9 ათასი ლარით;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა კომპიუტერის შეძენის ნაწილში - 4,9 ათასი ლარით; კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები, სუბსიდიების ნაწილში - 16,1 ათასი ლარით; კულტურის ობიექტების დაფინანსება, სუბსიდიების ნაწილში - 14,3 ათასი ლარით; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, არაფინანსური აქტივების ზრდა კომპიუტერის შეძენის ნაწილში - 5,5 ათასი ლარით; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საწვავსაპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 0,5 ათასი ლარით; უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით - 0,8 ათასი ლარით.

ასევე დაზუსტდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.გ“ და„ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2015 წლის 4 მარტის №15 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გამგებლის მიერ გამოცემული №1035 ბრძანება. კერძოდ: №1035 ბრძანების შესაბამისად შემცირდა: სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი - 9,5 ათასი ლარით, კულტურის ღონისძიებების დაფინანსება, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი - 7,3 ათასი ლარით.

შესაბამისად გაიზარდა: კულტურის ობიექტების დაფინანსება, სუბსიდიების ნაწილში - 16,8 ათასი ლარით

სულ გაიზარდა 696 185 ლარით.

### ცვლილებები საკრებულოს რეგლამენტში

ცვლილებები შეიტანეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს დადგენილებაში. როგორც საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ეროდი გორდელაძემ აღნიშნა, ახალი დადგენილების პროექტი მომზადებულია „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ რეკომენდაციების გათვალისწინებით.

### სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფას ხომ არ მოჰყვება ამ ოჯახებისათვის სოციალური დახმარების შეწყვეტა?

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, დამტკიცდა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“ და „ბენეფიციარების შერჩევის ფორმა“. თუმცა, მანამდე ეს საკითხი ხანგრძლივი დისკუსიის საგანი გახდა და არც თუ უსაფუძვლოდ. საქმე ისაა, რომ არ არსებობს ზუსტი პასუხი კითხვაზე: სოციალურად დაუცველი პირების (ოჯახების) საცხოვრისით უზრუნველყოფას ხომ არ მოჰყვება ამ პირებისათვის (ოჯახებისათვის) სოციალური დახმარების შეწყვეტა? შესაბამის კანონში ცვლილებები შედის და განახლებული ფორმით იგი 2016 წლის იანვრიდან შედის ძალაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფა კი წინასაახალწლოდ იგეგმება.

### სხვა საკითხები

საკრებულომ მიიღო დადგენილებები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების (მოედნების, სკვერების, ბულვარების),მრავალბინიანი სახლების, სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“; „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე, აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

ასევე დაამტკიცა განკარგულებები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების და იჯარით გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული შვიდივე საკითხის განხილვაში, პირდაპირი ტრანსლაციისას, მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული.

"მახარებს მოსახლეობის ასეთი აქტიურობა. მაქსიმალურად შევეცდებით, ეტაპობრივად, უმოკლეს დროში მოვაგვაროთ მოსახლეობის თვალით დანახული პრობლემები. ამ მიზნით, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კოორდინებული მუშაობით, კონკრეტულ ღონისძიებებსაც ვატარებთ. მაგალითისთვის, მაქვს ახალი ინიციატივა, რომელიც პედაგოგებისთვის უფასო მგზავრობას ითვალისწინებს. ამ პროექტზე ვმუშაობთ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან და ჩვენს აღმასრულებელ რგოლთან ერთად. განხორცილების შემთხვევაში, რაც რეალურია, სწავლისა და განათლების ხელშეწყობის მიზნით, კიდევ ერთ ქმედით ნაბიჯს გადავდგამთ", - განაცხადა სხდომის დასასრულს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი კვერღელიძემ.

სხდომის სრული ჩანაწერის ხილვა შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე: **http://ozurgeti.org.-ge/?page_id=7693.**

# საკითხი ჯერჯერობით ღიად დატოვეს

**ალიონი.** 4 ნოემბერს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „საზოგადოებრივი დარბაზის“ სხდომაზე რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში დაღუპული, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენოსნის, ზაურ თენიეშვილის დედის ნანი თენიეშვილის განცხადება განიხილეს. როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ დამსწრეთ ამცნო, ამ განცხადებით ომში 21 წლის დედისერთა შვილის დამკარგავ დედას ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის ხელმძღვანელობისათვის მიუმართავს ხსენებული სასწავლო დაწესებულებისთვის ზაურ თენიეშვილის სახელის მინიჭების თხოვნით (ზაური ამ სკოლის კურსდამთავრებული ყოფილა). სამეურვეო საბჭოზე განხილვის შემდეგ, განცხადება სკოლის ხელმძღვანელობას ქალაქ ოზურგეთის საკრებულოსთვის გადმოუცია. საკრებულოს ბიუროს მიზანშეწონილად არ ჩაუთვლია საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა. საკრებულოს ხელმძღვანელობა კი ამ საკითხზე საზოგადოების აზრით დაინტერესდა და იგი „საზოგადოებრივი დარბაზის“ მსჯელობის საგნად აქცია.

თითქმის ერთსაათიანი ბჭობის დროს განხვავებული მოსაზრებები გამოიკვეთა. იყო პოლიტიკური სპეკულაციის მცდელობაც, მაგრამ, უმეტესობის აზრით, რადგან მშობლიური ქუჩა უკვე ატარებს ზაურ თენიეშვილის სახელს და ქალაქში შენდება მისი სახელობის სკვერიც, უმჯობესია სკოლაში ისტორიის ან რომელიმე სხვა საგნის კაბინეტს ეწოდოს მისი სახელი, ხოლო სკოლას მიენიჭოს განათლების ამ უძველესი დაწესებულების კურსდამთავრებული რომელიმე საზოგადო მოღვაწის სახელი (ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნოე ჟორდანია, ეგნატე ნინოშვილი, აკაკი ბაქრაძე, ელგუჯა ხინთიბიძე...). მხოლოდ ერთეულებმა დაუჭირეს მხარი სკოლისათვის ზაურ თენიეშვილის სახელის მინიჭებას.

საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ გმირის დედას, ქალბატონ ნანის უარი კი არ ეთქვას №1 საჯარო სკოლისათვის თავისი შვილის სახელის მინიჭებაზე, არამედ საკითხი ჯერჯერობით ღიად დარჩეს, რადგან დღესდღეობით საქართველოში ოფიციალურად არც ერთ სკოლას არანაირი სახელი არ აქვს მინიჭებული.

ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლა 2006 წლამდე, ანუ სკოლებში რეორგანიზაციის ჩატარებამდე, ეგნატე ნინოშვილის სახელობისა იყო.

ამ სკოლის კურსდამთავრებული ზაურ თენიეშვილი ცხინვალში სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა, მანამდე მან, საკუთარი სიცოცხლის ფასად, რამდენიმე თანამებრძოლი იხსნა დაღუპვისაგან.

# ფერმიდან სუფრამდე



№3 10.2015

**სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ**



## რა ზიანი შეიძლება მოიტანოს პირუტყვის აუცრელობამ

ნინო კაპანაძე გაზეთი
„ჩემი ხარაგაული„ იმერეთი.

**რატომ არის აუცილებელი პირუტყვის აცრა და რა საშიშროება ემუქრება მომხმარებელს დაავადებული ხორცისა და რძის ნაწარმის გამოყენებისას.**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ისლარში მცხოვრები ცაცა ბრეგვაძე, ოცი წელია, მესაქონლეობას მისდევს. ამჟამად ის და მისი ოჯახის წევრები ორმოც სულ საქონელს უვლიან. ოჯახის დიასახლისი ცაცა ბრეგვაძე ამბობს, საქონელს მაშინ უტარებენ აცრას, როდესაც სახელმწიფო უფასო აცრებს ატარებს. მისივე თქმით, ისინი ზაფხულში, საქონლის ქვაზვინიდის საძოვარზე წაყვანამდე დამატებით ცრიან იმ დაავადებებზე, რომელიც სახელმწიფო პროგრამით არ არის გათვალისწინებული.

„კარგად გვესმის, თუ რა ზიანი შეიძლება მოგვიტანოს პირუტყვის აუცრელობამ,ამიტომ პირუტყვსაც ვაზღვევთ აცრით და საკუთარ თავსაც," - ამბობს ცაცა ბრეგვაძე.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი, 20 -წლიანი გამოცდილების მქონე ვეტერინარი ნათია ბერაძე ხარაგაულში მუშაობს.

ნათია განმარტავს, რომ მსხვილფეხა პირუტყვიდან ადამიანზე გადამდები ყველაზე საშიში დაავადებაა ჯილეხი. ჯილეხი ყველაზე კარგად გამოვლინდება კანზე, ჩნდება წყლულები. ახასიათებს სისხლიანი ღებინება, მწვავე დიარეა, ნაწლავის ტრაქტის მწვავე ანთება და მადის დაკარგვა. ინფექცია შეიძლება განიკურნოს, თუმცა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 25% -დან 60% -მდეა. გასულ წელს საქართველოში ჯილეხის 100 ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა.

მისი განმარტებით ჯილეხი ხარაგაულში წლებია არ ფიქსირდება, თუმცა, პროფილაქტიკური სამუშაოები აუცილებელია, - ჯილეხის გამომწვევია ნიადაგობრივი ინფექცია.ზაფხულში, როდესაც მწვანე მასის ნაკლებობაა და ცხოველს უწევს უშუალოდ ნიადაგზე შეხება, დაზიანებული ლორწოვანი გარსი არის ძალიან კარგი წინაპირობა დაავადების განვითარებისთვის. ჯილეხის გამომწვევი ნიადაგში იკეთებს სპორას, რომელიც საუკუნის განმავლობაში ძლებს.

ჯილეხს აქვს ინკუბაციური პერიოდი, განვითარების ფაზა და გამოსავალი. ხშირ შემთხვევაში ცხოველი იღუპება. ამ დროს ცხოველისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური სისხლიან-ქაფიანი გამონადენი ცხვირიდან და ანალური ხვრელიდან. ცხოველი წყვეტს საკვების მიღებას და კარგავს ნაცოხრობის უნარს. ჯილეხი ძალიან სწრაფად ვითარდება. თავიდან მეპატრონეს ჰგონია, რომ,შესაძლოა, ცხოველს ჰქონდეს ფაშვის ატონია ან ჰიპოტონია და სერიოზულ დაავადებაზე არ ფიქრობს. ძალიან ხშირად,ეკონომიური მდგომარეობის გამო,ცხოველს დაცემამდე კლავენ და იყენებენ. ამ დროს ყველაზე დიდი შანსია, რომ ადამიანი ჯილეხით დაავადდეს. პირუტყვში აღინიშნება მაღალი ტემპერატურა, სისუსტე, ინტოქსიკაცია, უმადობა, წველადობა იკლებს, ამ სიმპტომების შემდეგ საქონელი 2-3 დღეში კვდება.

ერთადერთი პრევენცია ისაა, რომ ჯილეხიან ცხოველს არ შევეხოთ. ის არ ინკურნება. მნიშვნელოვანია, რომ დაუყოვნებლივ ვაცნობოთ ვეტერინარს. გამორიცხულია ყოველგვარი თვითმკურნალობა. კანონმდებლობის შესაბამისად, პირუტყვი უნდა დაიკლას, დაიწვას და სადგომში ჩატარდეს დეზინფექცია."

ნათია ბერაძის ინფორმაციით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2010 წელს დაფიქსირდა ძალიან საშიში დაავადება თურქული. მისი თქმით, სოფელ წაქვაში მაშინ მაისურად დაეცა პირუტყვი.

„თურქული ბევრად საშიშია ჯილეხზე, - განმარტავს ბერაძე, -შეიძლება მეზობელი მუნიციპალიტეტიდან უსწრაფესად გავრცელდეს. ამ დროს პირუტყვი აღარ ჭამს, აქვს მაღალი ტემპერატურა, პირის ღრუში, ჩლიქებსა და ცურზე უჩნდება აფთები. ამ დროს დაუშვებელია ძროხის რძის ან ხორცის გამოყენება. საქონელს შეიძლება ჩლიქი საერთოდ მოძვრეს. ეს დაავადება განსაკუთრებით რთულია ხარებში. ვეტერინარის გამოძახება აუცილებელია.ის აიღებს ანალიზებს და დაადგინდება, რა ტიპის თურქულით დაავადდა ცხოველი. ამის შემდეგ იწყება მკურნალობა. ჯილეხისგან განსხვავებით, თურქული განკურნებადი დაავადებაა. ადამიანებში სიმპტომატიკა ასეთია: ცხელება, გულისრევა, ღებინება, დაღლილობის შეგრძნება, დისკომფორტი, მადის დაკარგვა, გაღიზიანება ახალშობილებში. კანის დაზიანებები გამონაყარის სახით განვითარებული, ლურჯი ლაქები და მეწამულები, ბუშტუკები ხელზე, ფეხის ძირებსა და ზოგჯერ ტუჩებზეც.

ინფექციის წყარო პირუტყვისთვის შესაძლებელია იყოს: ვირუსული დაინფიცირება. ადამიანისთვის: საქონელთან კონტაქტის შედეგად: სისხლი, ლორწო, ხორცი, დაკვლისა ან ხორცის დამუშავების პროცესი.

პირუტყვის ლეში უნდა დაიწვას სათანადოდ ღრმა ორმოში. იმ ტერიტორიაზე, სადაც პირუტყვი დაეცა უნდა დამუშავდეს ხსნარებით.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში ვკისულობთ, რომ 2020 წლისთვის საქართველო იქნება თურქულისგან თავისუფალი ქვეყანა. დაავადების პრევენცია არის პროფილაქტიკური აცრები, რომელიც წელიწადში ორჯერ ტარდება."

ნათია ბერაძე გვიამბობს, რომ პირუტყვიდან ადამიანზე გადამდები ინფექციური და პათოგენური დაავადებებიდან ძალიან ცნობილია ბრუცელოზი. ეს დაავადება 2008-2010 წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კიცხსა და ბორში დაფიქსირდა.

ნათია ბერაძე განმარტავს, რომ ბრუცელოზით დაავადების შემთხვევაში ზოგჯერ გარეგნულად პირუტყვს არაფერი ეტყობა. დაავადების გამოვლენა ხდება ანალიზის საფუძველზე, რაც მასობრივად ტარდებოდა მუნიციპალიტეტში.

ინტერვიუ

## რა დარღვევები დაფიქსირდა სასმელ წყალში ახალციხესა და ადიგენის მუნიციპალიტეტში



**ახალციხის მომხმარებელთა დახმარების ცენტრმა ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში აგვისტოსა და სექტემბერში სასმელი წყლის 13 ნიმუშიდან 5 დარღვევა დააფიქსირა. ერთ შემთხვევაში კი დარღვევა განმეორებითაც აღმოჩნდა.**

თამარ თოთაძე,
ახალციხე

მიმდინარე წლის აგვისტოსა და სექტემბერში ახალციხის მომხმარებელთა დახმარების ცენტრმა მომხმარებელთა მიმართვის საფუძველზე და დარღვევების გადამოწმების მიზნით, წყლის 13 ნიმუში ლაბორატორიულად შეამოწმა.

შემოწმებისას ლაბორატორიული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურში წყაროს წყალში, რომელსაც ადგილობრივები სასმელად იყენებენ, კოლიფორმები გამოვლინდა.

იგივე დარღვევა დაფიქსირდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვილისის საბავშვო ბაღ-ბაღის ონკანიდან აღებულ წყალში, ასევე კოლიფორმები დადგინდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ენთელში აღებულ ჭის წყალსა და ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანის ე.წ. იფნის დასახლების წყალში.

რუსთაველის ქუჩის N101-ში შემოწმებულ სასმელ წყალში აგვისტოს მონაცემებით პარამეტრები ნორმაში იყო, ხოლო განმეორებით ჩატარებული კვლევისას იგივე მისამართზე შემოწმებულ წყალში მომატებულია პერმანგანატული ჟანგვადობა.

ადგილობრივების ნაწილი ამბობს, რომ სასმელად ონკანის წყალს არ იყენებენ, რადგან მსგავსი ფაქტები არაერთხელ დაფიქსირებულა.

ახალციხის მცხოვრებთა უმრავლესობა ონკანის წყალს სასმელად არ იყენებს, მოსახლეობა ფიქრობს, რომ მათი წყალი სასმელად უვარგისია. ისინი ხელისუფლებისგან მოითხოვენ, რომ წყლის ხარისხი უკეთ გააკონტროლონ, გაიფილტრონ და მომხმარებლამდე უვნებელი წყალი მივიდეს.

„ოთხი პატარა გვყავს სახლში, ბევრჯერ ატკივებიათ მუცელი და ვფიქრია, რომ წყლის ბრალი იყო. თუ არ გაიფილტრა, არ გასუფთავდა და ისე მიიღო მომხმარებელმა, ნამდვილად სახიფათოა ადამიანისთვის",— ამბობს ახალციხელი ლუიზა ალავიძე.

ახალციხის მომხმარებელთა დახმარების ცენტრის ინფორმაციით, მკვირედ მომატებული პერმანგანატული ჟანგვადობა ყველა სხვა პარამეტრის ნორმასთან შესაბამისობის ფონზე სერიოზულ დარღვევას არ წარმოადგენს და, სავარაუდოდ, გამოწვეულია გაყვანილობის სიძველით. ცენტრის წარმომადგენლებმა შედეგის შესახებ მომხმარებელს აცნობეს და ურჩიეს, წყალი გამოყენებამდე რამდენიმე წუთის განმავლობაში თავისუფლად ადინონ ონკანში.

*რა საფრთხეს წარმოადგენს დაბინძურებული წყალი:*

კოლიბაქტერიების ანუ ნაწლავის ჩხირის ჯგუფი იგივე კოლიფორმები აერთიანებს მიკროორგანიზმების 100-მდე სახეობას, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების ნაწლავის ნორმალური მიკროფლორის შემადგენელ ნაწილს. მათ პირობითად პათოგენური მიკროორგანიზმები ეწოდებათ. მიწამდლა ვითარდება მხოლოდ გარკვეულ პირობებში, კერძოდ, როდესაც ნაწლავის ჩხირი ადამიანის ორგანიზმში ხვდება საკვებთან ან წყალთან ერთად.

კოლიბაქტერიებით ან მათ მიერ გამომუშავებული ტოქსინებით დაბინძურებული საკვების ან წყლის მოხმარებამ შეიძლება სხვადასხვა დაავადებები გამოიწვიოს: ნაწლავური ინფექციები, შარდსადენი გზებისა და სასქესო ორგანოების დაზიანება, ბაქტერიემია, მენინგიტი და სხვა. ნაწლავის ჩხირით გამოწვეული მოწამვლა შესაძლებელია სახიათდებოდეს სხვადასხვა სიმპტომებით — გულისრევით, მუცლის ტკივილით, ტემპერატურის აწევით, სისუსტით ან უმადობით. მძიმე შემთხვევების დროს შესაძლებელია განვითარდეს სეფსისიც.

მომხმარებელთა დაცვის ცენტრში განმარტავენ, რომ აღმოჩენილი დარღვევების შესახებ შეატყობინეს მოსახლეობას და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას,

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე.)

## სასარგებლო რჩევები

რატომ უნდა ავცრათ პირუტყვი

*ვაქცინაცია საუკეთესო გზაა, რათა თავიდან ავიცილოთ პირუტყვის დაინფიცირება და დაავადების გავრცელება.*

- განსაკუთრებით საშიში დაავადებების წინააღმდეგ ცხოველთა პროფილაქტიკურ ღონისძიებებს სახელმწიფო აფინანსებს: ეს არის ჯილეხის, თურქულისა და ბრუცელოზის აცრები, რომელიც უფასოა.

- დანარჩენ დაავადებებზე პირუტყვის მეპატრონეებმა თავად უნდა ჩაატარონ ვაქცინაცია ვეტერინარის დახმარებით.

- ვაქცინაციის ფასი დამოკიდებულია ხარისხზე, 9 დაავადებიდან, რომლის ვაქცინაციაც წელიწადის განმავლობაში აუცილებელია, 5 ვაქცინა ორგანიზმის პარაზიტული უმარტივესებით და ჭიებით დასნებოვნების წინააღმდეგ გამოიყენება 4 კი,ინფექციური .დაავადებისგან დასაცავად.. თითო ვაქცინაცია ერთ სულ ცხოველზე 30-35 ლარი ჯდება.

- რძის მწარმოებლებმა უნდა იცოდნენ როდის კეთდება ვაქცინაცია და რომელი ძროხაა მკურნალობის ქვეშ, რათა არ მოხდეს ამ პერიოდში რძის აღება და გამოყენება.

ფერმიდან სუფრამდე

**სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ**

# ბოსტნეული მთელი წელი - სასათბურე მეურნეობები



საქართველოში სასათბურე მეურნეობები ფეხს ნელ-ნელა იკიდებს. ევროპული გამოცდილების ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებას სპეციალურად შემუშავებული სახელმწიფო პროგრამები უწყობს ხელს.

თამარ ხოზრევანიძე გაზეთი „ჩემი ქობულეთი"

სასათბურე ბიზნესის განვითარების მიზნით, ევროპამ ნაბიჯები დიდი ხნის წინ გადადგა. წვრილი ფერმერული მეურნეობები ამჟამად მსხვილ კორპორაციებად და გაერთიანებებად გარდაიქმნა, თუმცა საქართველოში სასათბურე მეურნეობებს ბევრ პრობლემასთან გამკლავება უწევთ, ნედლეულის სიძვირე და საჭირო მუშახელის არ არსებობა მათ განვითარებას ხელს უშლის.

სათბურში არსებული პირობების გასაცნობად, ბათუმში მცხოვრებ მცირე მეწარმეებს ვეწვიეთ. საკუთარი ბიზნესისა და მეურნეობის შესახებ შორენა ბერიძე გვესაუბრა. ბერიძეებს საოჯახო მეურნეობა პომიდვრის სათბური აქვთ. მისი თქმით, მთავარი პრობლემა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამოცდილებაა, სათბურის მუშაობის წესებსა და რჩევებს ინტერნეტის საშუალებით ეცნობა. შორენა ბერიძემ სათბური უკვე მეორე წელია სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით შექმნა. პროექტი სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ევროკავშირის დახმარებით გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. მეურნემ აგვიხსნა, რომ მას გათბობის სისტემის დანახარჯები იმდენად ძვირია, ურჩევნია არასეზონური ბოსტნეულის გამო არც ენერგია დახარჯოს და არც რესურსი. ზამთრის პერიოდში მხოლოდ ხახვსა და სალათის ფურცლებს თესავს, ხოლო პომიდვრის დარგვას თებერვლის თვეში იწყებს, სამი თვის შემდეგ ნაყოფს უკვე იღებს და ბაზარზე ბოსტნეული სხვა კონკურენტებთან შედარებით 2 თვით ადრე შეაქვს.

„მაქვს ისრაელში წარმოებული 5 ფენიანი 7 კომპონენტიანი ცელოფანით გადახურული სათბური, რომელიც მზის სხივებს იმ დოზით ატარებს რამდენადაც არის საჭირო. ყველაზე მეტად მჭირდება დახმარება უახლესი ინფორმაციით. ინტერნეტის საძებნი პროგრამების საშუალებით ვეცნობი როგორც ნერგის გამოყვანის და მოვლის ხელოვნებას, ასევე სასათბურე მეურნეობების თეორიულ ახსნას ვნახულობ.

სათბურისათვის აუცილებელია მიკროკლიმატის შექმნა, ტემპერატურის განსაზღვრა. მცენარის დარგვიდან პირველ თვეებში მნიშვნელოვანია ტემპერატურის რეჟიმი და წყლის და ის, თუ რა რაოდენობით უნდა მიაწოდო წყალი.

ყველაზე მთავარია სათბურს ჰქონდეს თავში კარი, რადგან როცა გარედან სიცივე და შიგნიდან სიცხე ხვდება წარმოიშვება ორთქლი და ასევე ნისლი, ეს ნისლი კი საშინლად აზიანებს ნაყოფს და აფუჭებს."- ამბობს მეწარმე, რომელსაც სათბურზე ავტომატურად ასახსნელი კარი აქვს დამონტაჟებული. ამ კარის საშუალებით ორთქლი გარეთ გასვლას ახერხებს და ნაყოფი აღარ ზიანდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი სასათბურე მეურნეობის დაწყებისას არის მიწის ანალიზი, ჯანსაღი პროდუქტის მისაღებად უნდა დადგინდეს თუ რომელ ნიადაგში რა შემცველობაა საჭირო პროდუქტის მოსაყვანად და რა დოზით. პატარა ჭურჭელში მოთავსებული მიწა კი მთელი ნიადაგის მონაცემების დადგენის საშუალებას იძლევა.

პომიდვრის რეალიზაციის ორი ვარიანტია: მარკეტები და ბაზარი. უნდა გათვალო არ მოიყვანო იმდენად ჭარბი მოსავალი, რომ ვერ გაყიდო,-ამბობს შორენა ბერიძე.

მეურნეობის გაცნობის შემდეგ ბაზარშიც გავიარეთ, სადაც გამყიდველებიც და მომხმარებლებიც ბოსტნეულის სიძვირეზე საუბრობენ.

„სათბურის პროდუქტები ძირითადად ადგილობრივ ფერმერებს მოაქვთ. როცა შემოდის სოფლებიდან, იმასაც ვყიდულობთ. ფასები წელს ძალიან განსხვავდება, ყველაფერი ძვირია. რა თქმა უნდა, სოფლის უკეთესია, მაგრამ ფასითაც ადგილობრივი უფრო ძვირია. ფუქებადი ჩვენი უფროა, გაძლებით სათბურის უფრო დიდხანს ძლებს."- ამბობს გამყიდველი მზია ცინცაძე.

აზრთა სხვადასხვაობა გამოთქვეს ბაზარში ბოსტნეულის საყიდლად მოსულმა მოქალაქეებმა: „ჩემთვის ხარისხი იმდენად მნიშვნელოვანია, მირჩევნია ძვირი გადავიხადო, ოღონდაც შხამქიმიკატები და ათასი რამ ნუ ექნება ბოსტნეულს." „ძვირად იძახე და კარგია თუ ცუდი, ყველაფერი ძვირია, სხვა გზა არ გვაქვს და იმიტომ ვყიდულობთ, თორემ რომელი ჯობია რას გაიგებ."

„მართლა არ ვიცი როგორ უნდა განვასხვავო კარგი და ცუდი პროდუქტი. მხოლოდ იმის მიხედვით ვყიდულობ, რამდენად კარგად გამოიყურება გარედან, თუმცა ხანდახან უგემურია."

იმისათვის, რომ მომხმარებელმა უკეთ შეაფასოს პროდუქციის ხარისხი, საჭიროა, რომ მას მიეწოდებოდეს ყველა საჭირო ინფორმაცია ამ პროდუქციის შესახებ. გარკვეული ვალდებულებები მეწარმეებს ახლაც ეკისრებათ. მოქმედებს მოთხოვნები სურსათის ეტიკეტირების შესახებ. გარდა ამისა, ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, მომხმარებლის უფლების დაცვა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კონტროლის მექანიზმების ეტაპობრივი დახვეწა.

აჭარის სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროსი მამუკა თურმანიძე ამბობს, რომ სასათბურე მეურნეობების განვითარება და უვნებელი პროდუქტის წარმოება ქვეყნის წინსვლას შეუწყობს ხელს. ვცდილობთ ფერმერებს ვაჩვენოთ, რომ ამ გზით ბევრად უფრო მეტი პროდუქტის მოყვანაა შესაძლებელი, ვიდრე ღია გრუნტში, თუნდაც ორმაგ მიწის ნაკვეთზე. სათბურში ზოგჯერ 10-ჯერ იზრდება მოსავლიანობა. სამომავლოდ ვცდილობთ

# რა შეიცვალა რძის ნაწარმზე ეტიკეტირების წესის შემოღების შემდეგ

თამარ კაპანაძე
გაზეთი „სპექტრი"

1 აგვისტოდან რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი ამოქმედდა. რა შეცვალა ამ წესმა მომხმარებლისათვის და გაუმჯობესდა თუ არა რძის ნაწარმის ხარისხი.

რეგლამენტი გულისხმობს, რომ რძის ნაწარმის სახელით აღარ შეიძლება გაიყიდოს ისეთი პროდუქტი, რომელსაც მცენარეული ცხიმი აქვს შერეული. momxmarebeli.ge-ს ბევრი შემთხვევა აქვს გამოვლენილი რეგლამენტის ამოქმედებამდე, როცა რძის პროდუქტის დასახელებით იყიდებოდა პროდუქტი, რომელსაც საერთოდ არ ჰქონდა რძის ცხიმი, ან ძალიან მცირე მოცულობით შეიცავდა ცხოველურ ცხიმს.

ქალაქ გურჯაანში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით რამდენიმე მაღაზიაში შევედით და შევამოწმეთ ჰქონდა თუ არა ეტიკეტი რძის ნაწარმს. როგორც აღმოჩნდა, ისინი ახალ რეგულაციას ემორჩილებიან და ეტიკეტირების წესებს იცავენ. თუმცა ბევრ მაღაზიაში კარაქის დაფასოებულ ნაჭრებს, ეტიკეტი არ აქვს და მომხმარებლისათვის ძნელი გასაგებია პროდუქტის წარმომავლობა და ვადები.

ქალაქის სასურსათო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მაღაზიის გამყიდველი აღნიშნავს, რომ რეგულარულად ამოწმებს, აქვს თუ არა ეტიკეტში მარკეტში შემოტანილი რძის ნაწარმს, „რაც ეს წესი ამოქმედდა, არ ყოფილა შემთხვევა, არ ჰქონოდეს ეტიკეტი"

ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა გურჯაანის მკვიდრმა გულო ზაქრაშვილმაც, „როდესაც მაღაზიაში ვყიდულობ რძის ნაწარმს, უნდა ვიცოდე რას შეიცავს. ეტიკეტზე ტელეფონის ნომერია მითითებული. თუ არ მომეწონება და რამე პრეტენზია მექნება, ავდგები და პირდაპირ მწარმოებელს დავურეკავ,"- ამბობს ის.

ინდივიდუალური მეწარმე ნიკო ქართლელიშვილი რძის ნაწარმის ეტიკეტირების წესის დადებით და უარყოფით მხარეებზე გვესაუბრა: „ეტიკეტზე აღნიშნულია ჩემი ნომერი. შეუძლია დამირეკოს და მომთხოვოს პასუხი. ამ წესს უარყოფითი ის აქვს, რომ ხარჯი გამეზარდა, მაგრამ პროდუქტის ფასი იგივე დარჩა."

მაწვნის მიმწოდებელი შერმადინ ჯორბაძე რეგლამენტს დადებითად აფასებს, თუმცა შენიშვნები მაინც აქვს. მისი თქმით, სურსათის უვნებლობის სამსახური უნდა ამოწმებდეს, ნამდვილია თუ არა მონაცემები, რაც ეტიკეტზეა დატანილი. „ამის შემოწმება აუცილებლად უნდა ხდებოდეს, იქნებ და იტყუება მწარმოებელი?! შემოსავალი შემიმცირდა, ეტიკეტში ფასი უნდა გადავიხადო, მაწვნის ქილებს ვყიდულობ და რაც ადრე მრჩებოდა, ის მოგება აღარ მაქვს."

„რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის" დარღვევის გამო სანქციების თაობაზე სურსათის ეროვნულ სააგენტოს დავუკავშირდით. მათი ინფორმაციით, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ რეგულაციის ამოქმედების შემდეგ, 1211 ბიზნეს ოპერატორის დოკუმენტური შემოწმება განხორციელდა. ეტიკეტირების წესის დარღვევისგამო 400 ლარითდაჯარიმდა 64 ბიზნეს ოპერატორი; აღნიშნული წესის განმეორებითდარღვევის გამო 1200 ლარით დაჯარიმდა ერთი ბიზნეს ოპერატორი; ვადაგასული სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსების გამო 200 ლარით დაჯარიმდა - 6 ბიზნეს ოპერატორი, ხოლო 500 ლარით დაჯარიმდა - 8 ბიზნესოპერატორი;

რძესა და რძის პროდუქტებში მცენარეული ცხიმების აღმოჩენის მიზნით, უფლებამოსილიპირებისმიერ აღებულია სურსათის 28 ნიმუში. ეტიკეტირების წესის დარღვევა გამოვლინდა 3 შემთხვევაში.

# რა დარღვევები დაფიქსირდა სასმელ წყალში ახალციხესა და ადიგენის მუნიციპალიტეტში

*(დასაწყისი პირველ გვერდზე)*

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა და სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ სამმართველოს.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში განმარტავენ, რომ აღნიშნული სოფლები სხვილისი, ბოლაჯური, ენთელი და აბასთუმანი, სადაც დარღვევები დაფიქსირდა, კომპანიის მომსახურების არეალში არ შედის.

ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კი განმარტავენ, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დაბა ადიგენთან ერთად დაბა აბასთუმანსაც ამარაგებს და პასუხიც მათ უნდა მოვთხოვოთ. ხოლო რაც შეეხება სოფელ ბოლაჯურს, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ სოფელში წყალმომარაგების სისტემის ფართომასშტაბიანი სამუშაოები მიმდინარეობს და სისტემა „აბსოლუტურად გამართული იქნება." ხოლო სოფელ ენთელში წყლის ნიმუშში გამოვლენილ დარღვევაზე კომენტარი არ გააკეთეს.

კითხვაზე, ფლობს თუ არა დაფიქსირებული დარღვევების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობა ინფორმაციას და რა კონკრეტული ნაბიჯები გადადგეს წყლის ხარისხის გასაკონტროლებლად, ანდა გააფრთხილეს თუ არა მოსახლეობა, რომ წყალი სასმელად არ გამოიყენონ, ადიგენის გამგეობაში არ გვიპასუხეს.

რაც შეეხება ახალციხეში რუსთაველის ქუჩა N101-ში აღებულ წყლის ნიმუშს, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის პრესსამსახურის თქმით, აღნიშნულ მისამართზე კომპანიამ კიდევ ერთხელ ჩაატარა ლაბორატორიული კვლევა.

„სასმელი წყლის ხარისხი შეესაბამება წყლის ხარისხის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს", — განმარტავენ კომპანიაში.

## სასარგებლო რჩევები

ახალი ხორცის შერჩევისას გაითვალისწინეთ, რომ ხორცის ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, ქაღალდის ზედაპირზე ხორცის დადებით ის არ უნდა დასველდეს.

არ იყიდოთ ხორცი, თუ:

- ხორცის ზედაპირი წებოვანია;
- ხორცის ნაჭერზე ხელის დაჭერისას წარმოქმნილი ორმო მალევე არ ივსება და თუ ხორცმა დაკარგა ელასტიურობა;
- თუ კუნთოვანი ქსოვილი ადვილად სცილდება ძვალს;
- თუ ხორცი ძალიან მუქი ფერისაა და ქონს მოყვითალო ელფერი აქვს;
- თუ ხორცს არასასიამოვნო სუნი აქვს;
- თუ ხორცი იყიდება არაჰიგიენურ პირობებში;
- ზაფხულის ცხელ დღეებში მაცივრის გარეშე ინახება;
- ბაზარში ხორცის შეძენისას ყურადღება მიაქციეთ ვეტერინარული სამსახურის ნიშნის არსებობას!

გაყინული ხორცის შეძენისას გაითვალისწინეთ:

- ხორცი იყიდეთ გაყინულ და არა გამლღვალ მდგომარეობაში;
- თუ ხორცი ვარდისფერი კრისტალებითაა დაფარული, ის ერთხელ უკვე გამლღვალია, არ იყიდოთ!;
- გამლღვალ ხორცს გამოყენებამდე უყნოსეთ , თუ სუნი არასასიამოვნოა, არ გამოიყენოთ.

წყარო: www.momxmarebeli.ge

გვერდი მომზადებულია „რეგიონული მედიის ასოციაციის" მიერ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტების ფარგლებში. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. სტატიები არ გამოხატავს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

# 100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

## ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



**სტივენ ჰოკინგი** (დაიბადა 1901 წელს). სტივენ ჰოკინგი უკანასკნელი 50 წლის მანძილზე თეორიული ფიზიკის დარგში ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი და გამორჩენილი მეცნიერია. ის ცნობილია აინშტაინის (1879-1955) ფარდობითობის თეორიის განვითარებით. ჰოკინგი ახსნას კოსმოლოგიის სფეროში ეძებდა, განსაკუთრებით შავი ხვრელების ბუნებასა და შემადგენლობაში.

1962 წელს მათემატიკასა და ფიზიკაში დიპლომის აღებისა და 1966 წელს ფილოსოფიის დოქტორის წოდების მიღების შემდეგ, ჰოკინგი, ჯოზეფ პენროუზთან ერთად, შავი ხვრელების თეორიასა და სამყაროს შექმნის საკითხებზე მუშაობდა. აინშტაინის ზოგადი ფარდობითობის თეორიის ანალიზის შედეგად, სამყაროს დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ გრავიტაციული ხასიათის მატარებელი „დიდი შეჯახება“, როდესაც მატერია იყო სქელი, ხოლო სივრცითი დრო კი – მრუდე. ეს ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო ე. წ. „შავი ხვრელების“ სპეციფიკით, ან უფრო დიდი შეჯახებით, რომელიც სამყაროს დააბრუნებდა საწყის მდგომარეობაში.

1874 წელს, ქვანტური თეორიის გამოყენებით, დადასტურდა, რომ შავი ხვრელები (სადაც, როგორც ადრე თვლიდნენ, არაფერს შეეძლო გადარჩენა, სინათლის ჩათვლით და რომლის შემადგენლობაც არასდროს გახდებოდა ცნობილი) სულაც არ აღმოჩნდა „შავი“, პირიქით, ისინი გამოსცემდნენ ენერგიას, სადაც ნაწილაკების წყვილები იყოფოდა.

უარყოფითი ნაწილაკები შეიწოვებოდა ხვრელში, ხოლო დადებითად დამუხტული გამოიყოფოდა ენერგიის სახით. აქ მოქმედებდა თერმოდინამიკის კანონიც, რომელიც ნაწილობრივ აერთიანებდა ქვანტურ და კლასიკურ პრინციპებს. საბოლოოდ შავი ხვრელი გამოასხივებდა მთელ ენერგიას და შემდეგ ქრებოდა.

ჰოკინგის „ქვანტური გრავიტაცია“ გვთავაზობდა აზრს, რომ არ არსებობდა არავითარი პრინციპები, თუმცა ფიზიკის ცნობილი კანონები მუდმივად იმოქმედებდნენ. ეს ნიშნავდა, რომ სამყაროს არა აქვს საზღვრები – არც დასაწყისი და არც დასასრული.

ჰოკინგის მიღწევები შავი ხვრელების ახსნაში და შემდგომი მეცნიერული დებატები სამყაროს შექმნის თაობაზე, მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეცნიერი სტუდენტობის პერიოდიდან დაავადებული იყო კუნთების მამოძრავებელი ნერვის მოტორული ფუნქციის მოშლით. ის პარალიზებული დარჩა ეტლში და ვერც ლაპარაკობდა, კომუნიკაციას კი კომპიუტერით აწარმოებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰოკინგს წუთში მხოლოდ 15 სიტყვის დაწერა შეეძლო, მან ამ პირობებში გამოაქვეყნა უამრავი სტატია და წიგნი.

ჰოკინგის მიერ გამოცემული წიგნებიდან ყველაზე ცნობილია 1988 წლის ბესტსელერი „დროის მოკლე ისტორია დიდი შეჯახებებიდან ხვრელებამდე“. ის დღემდე გაბედულად იკვლევს უდიდეს პრობლემებს, რისი დემონსტრირებაც მოახდინა 2002 წლის პუბლიკაციაში. „თეორია ყველაფრის შესახებ, სამყაროს საწყისი და მისი ბედი“.

მისმა ნაშრომებმა საზოგადოებისათვის, რადიკალურმა იდეებმა და წარმატებამ, ავადმყოფობის მიუხედავად, ჰოკინგი მსოფლიოში ცნობილი გახადა. მეცნიერი ამის შესახებ წერს: „მოხიბლული ვარ კონტრასტით ჩემს ფიზიკურ შესაძლებლობებსა და სამყაროს უკიდეგანო ბუნებას შორის, მიუხედავად ამისა, მე მაინც შევძელი ეს“.

**ტიმ ბერნეს-ლი** (დაიბადა 1955 წელს). ოდი, გადავინაცვლოთ ამ წიგნის დასაწყისში, ორნახევარი ათასი წლით ადრე და ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, თუ რას ეჭიდებოდა მისტიკოსი ანაქსიმანდრე (616-547 წწ ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ახლა სწრაფად გადმოვინაცვლოთ დღევანდელობაში და ჩავწვდეთ, თუ როგორ შეცვალა მეცნიერებამ მსოფლიოს ჩვეული ხედვა იმ ელემენტების მანიპულაციით, რაც მასში არსებობს.

ინგლისელი ტიმ ბერნეს-ლი მსოფლიო ქსელის შემქმნელი, უკანასკნელია იმ მეცნიერთა რიგში, რომლებიც, ერთმანეთის ნამუშევართა საფუძველზე, ცვლიდნენ ჩვენი ცხოვრების შეხედულებებს, რაც გადაიზარდა თანამედროვე არსებობაში და მიუწვდომელი იყო ანაქსიმანდრესათვის.

არაფერს არ შეუცვლია მსოფლიოსთან ჩვენი ურთიერთობა ისე, როგორც კომპიუტერულ მეცნიერებას. ინტერნეტი გახდა გადამწყვეტი იარაღი ამ რევოლუციაში; უკანასკნელი მიღწევების მიუხედავად, როგორიცაა კომპიუტერთა ერთიანი ქსელ-ინტერნეტი; იმეილის აპლიკაციები, რაც ამ იარაღის გამოყენების საშუალებას იძლევა, მსოფლიო ქსელის გამოგონება განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან ეკუთვნის ერთ ადამიანს – ტიმ ბერნეს-ლის. იშვიათია, რომ ერთი პიროვნების გამოგონებას ასეთი დიდი გავლენა მოეხდინოს ბიზნესზე, კვლევებსა და ინდივიდუალურ ცხოვრებაზე, როგოც ბერნეს-ლის მიღწევას –1989 წელს.

ამით დამთავრდა იმ 100 მეცნიერის მიღწევების გადმოცემა, რომლებმაც ადამიანის ცნობიერების საზღვრები გააფართოვეს და კაცობრიობის დღევანდელი დღე განსაზღვრეს.

რაოდენ სწრაფადაც არ უნდა ვითარდებოდეს მეცნიერება, უდიდეს მეცნიერთა ნალვაწი დარჩება ბაზისად, მეცნიერთა ახალი თაობისათვის, რომელსაც მსოფლიოს შეცვლა მომავალში მოუწევს.



**P.S.** უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო გაზეთ „ალიონის“ რედაქტორს, ბატონ ნუგზარ ასათიანს, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელს თემურ მარშანიშვილს და კომპიუტერული უზრუნველყოფის ხელმძღვანელს გიორგი გოგოლაძეს იმისათვის, რომ 100 მეცნიერის მიღწევები თანმიმდევრულად შუქდებოდა რაიონისათვის ამ ჭეშმარიტად სახალხო გაზეთში.

ცოტა შესვენების შემდეგ, შევეცდები ამავე გაზეთში დაკარგული სამყაროები გაშუქებას, ასევე ციკლური მეთოდის გამოყენებით.

უდიდეს მადლობას ვუხდი მკითხველს, ჩვენ ხომ ერთმანეთისათვის ვიყავით და ვიქნებით „საპატიო“ ადამიანები, ყოველგვარი სხვის მიერ მონიჭების გარეშე.

**გურამ ცერცვაძე**

# სკანვორდი



დათვის ნაშიერი
ფულადი ერთეულის გამსხვილება
მდინარე პოლონეთში
მარცხი
სპილენძი
ბრაზილიის სიამაყე
საშობაო სიმღერა
ტბა მაღალმთიან გურიაში
სასახლე
მეთერთმეტე თვე
პირველი პირის ნაცვალსახელი
სარეცხი ფხვნილი
მოგება ნარდში
მუნიციპალიტეტი იმერეთში
ვაი სვანურად
ადვილი
ვიეტნამის დედაქალაქი
რელიგიური მიმართულება
მუსიკალური ინსტრუმენტი
მოჩვენება
ერი
წუხილი
რუსი ფერმწერი
ანდრია ბალანჩივაძის ოპერა
სანაგვე ყუთი
ქართველი მითოლოგიური გმირი
ფრანგი ფეხბურთელი
პოლიეთილენის აფსკი
გაზაფხულის ყვავილი
ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი
..... ნოვოსტი
ვრცელი ველი
კრუნჩხვის შეტევა
ავსტრალიური ფული
მდინარე ტაილანდში
ისტორიული ოლქი საფრანგეთში
გერმანელი
ცეცხლის ენა
მგალობელი ფრინველი
მხარე ძველ საქართველოში

# №43-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – გურანდა გაბუნია; რძის ნაწარმი – იოგურტი; მამაკაცის სახელი – უჩა; ა. ბუკიას ოპერა – არსენა; თურინჯი – პომპელმუსი; ქართველი ბალერინა – ირმა ნიორაძე; თავნება – ურჩი; ტანმორჩილი – ჩია; შენ მეგრულად – სი; გაზი – აირი; თვალის ნაწილი, ფართოვდება – გუგა; კომპასი – ყიფლანა; ალბანეთის ფულის ერთეული – ლეკი; ციხე „გრაფი მონტე ქრისტოში“ – იფი; ძველებური საცხენოსნო თამაში – თარჩია; სამხედრო შარვალი – გალიფე; ყამირი – უშალი; საფოსტო გზავნილი – ამანათი; მხეცი – ნადირი; ჩრდილოეთის ირემი – ლოსი; გურული სიმღერა – აბადელა; ქალაქი სამხრეთ საქართველოში – ახალციხე; ... გურგულია – ინოლა; ვაშა რუსულად – ურა; ტერიტორიული ერთეული აჭარაში – ხოფა; შინაური ფრინველი – ციცარი; წვეულება – ხადილი; კავშირგაბმულობის საშუალება – რაცია; შავი კონტინენტი – აფრიკა; წინა კიდურის მტევანი – თათი; მექისის წინსაფარი – ფუტა; მთიელი ქალის სახელი – ალაზა; სისხლის შედედების უნარის დაკარგვა.

# „მერცხალმა“ „რუსთავთან“ 1:1 ითამაშა



**ალიონი.** „მერცხალის“ ახალმა მწვრთნელთა შტაბმა გუნდი მძიმე მდგომარეობაში გადაიბარა და ახლა ცდილობენ მის დალაგებას, თუმცა ჯერჯერობით გუნდს სასიკეთო ცვლილებები არ ეტყობა. ფეხბურთელები ფიზიკურად მოუმზადებლები არიან, კვლავ ცუდია დისციპლინა და მსაჯებთან კამათში ფეხბურთელები ყვითელ ბარათებს აგროვებენ, არ აქვთ პასის კულტურა და ა.შ. მე-11 ტურში „მერცხალმა“ წყალტუბოში 1:2 წააგო და ბოლოსწინა, მე-17 ადგილზე გადაინაცვლა.

6 ნოემბერს „მერცხალმა“ „რუსთავს“ უმასპინძლა. ამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა ნიკოლოზ ხინთიბიძემ მე-10 წუთზე გახსნა ანგარიში.

მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა შეძლეს რამდენიმე საინტერესო იერიშის განხორციელება მეტოქის კარის მისადგომებთან, ვერ ახერხებდნენ კარში დარტყმას, არ აძლევდნენ პასს უკეთეს პოზიციაში მყოფ თანაგუნდელს და შესაბამისად ვერ შეძლეს ანგარიშის გაზრდა.

მატჩის მსაჯობას საშუალოდ შევაფასებდით. ხონელი მსაჯი დავით სანოძე უხეშობისთვის უხვად ურიგებდა ყვითელ ბარათებს ორივე გუნდის ფეხბურთელებს.

მეორე ტაიმში ოზურგეთელთა იერიშისას, რუსთაველმა გიორგი სამადაშვილმა უხეშად ითამაშა. მსაჯმა ჩათვალა, რომ პენალტი არ იყო და ზედ საჯარიმოს ხაზზე დანიშნა ჯარიმა, ხოლო სამადაშვილი მოედნიდან გააძევა. ოზურგეთელთა დარტყმა უშედეგო იყო.

სამაგიეროდ, რუსთაველები ახორციელებდნენ გააზრებულ იერიშებს და კაცნაკლულმა გუნდმა 68-ე წუთზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება. კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი ზვიად მეტრეველმა ოზურგეთელთა მეკარეს, ირაკლი მურუსიძეს მარტივ სიტუაციაში გაუტანა, 1:1.

„მერცხალის“ მცდელობა ანგარიშის შესაცვლელად ამაო გამოდგა და იგი მხოლოდ ერთ ქულას დასჯერდა.

12 ტურის შემდეგ „მერცხალს“ (2 მოგება, 3 ფრე, 7 წაგება, ბ/შ 15-26) 9 ქულა აქვს და კვლავ მე-17 ადგილზეა.

# ნარუჯის საჯარო სკოლაში კარ-ფანჯრების შეცვლა გადაუდებელი საკითხია

**ალიონი.** დაბა ნარუჯის საჯარო სკოლა ერთ-ერთი ყველაზე დიდკონტიგენტიანი სასწავლო დაწესებულებაა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. დღეს აქ 386 მოსწავლე ეუფლება ცოდნას. მათ სწავლებას კი 37 პედაგოგი და 10 თანამშრომელი ემსახურება.

1987 წელში აგებულ სკოლას კაპიტალური რემონტი დღემდე ერთხელაც არ ჩატარებია. აქედან გამომდინარე, არ გაგვკვირვებია, რომ სკოლის შენობა ვიზუალურადაც და ტექნიკურადაც კარგად ვერ გამოიყურება. შენობის ორივე სართულზე განსაკუთრებით სავალალო და საშიშ მდგომარეობაშია კარ-ფანჯრები.

სკოლის დირექტორის **მედეა ობოლაძის** თქმით, ამ საკითხზე ინფორმირებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:

— სკოლაში რომ ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია, ამის შესახებ ინფრომირებულია როგორც მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო ცენტრი, ისე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. იყვნენ ჩამოსულები და დაგეგმეს შესაბამისი სამუშაოები. მათი აღრიცხვით შესაცვლელი 230 ფანჯარა და კარი. დაზიანებულია სახურავიც, საიდანაც რამდენიმე საკლასო ოთახში წყალი ჩამოგვივიდა. ითქვა, რომ ეს სამუშაოები



წლის ბოლომდე დამთავრდება.

ნარუჯის საჯარო სკოლაში 5 ოქტომბერს იმ დროს მივედით, როცა ეზოში შეშას აპობდნენ. როგორც მედეა ობოლაძემ გვითხრა, სკოლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით უკვე შეიძინეს 19 კუბური მეტრი შეშა, ამ დღეებში კიდევ შეიძენენ 6 კუბურ მეტრს.

კარგია, რომ სკოლა ზამთრისათვის ემზადება, მაგრამ თუ კარ-ფანჯრები არ შეიცვალა, ფარღალალა ოთახებში ღუმელების ანთებას რა აზრი აქვს? ასეთ პირობებში სასწავლო პროცესის წარმართვა ძალიან გაძნელდება და მოსწავლეთა და პედაგოგთა ჯანმრთელობასაც საფრთხე შეექმნება.

# სამადლობელი

მინდა მადლობა გადავუხადო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას **ნადუსი მალაზონიას** ხელმძღვანელობით, ოჯახის ექიმს **ლალი ხინთიბიძეს,** ანალიზები ლაბორატორიას და მის ხელმძღვანელს **მაიკო მამაკაიშვილს,** ექიმ ინფექციონისტ **ქეთინო ღლონტს**, რომლებმაც თავდაუზოგავად იზრუნეს ჩემს ჯანმრთელობაზე და ფეხზე დამაყენეს.

**შალვა ჩინოიანი.**

**ქირავდება ფარნავაზ მეფის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩაზე ორსართულიანი სახლი, ავეჯით, საკარმიდამო ნაკვეთით.**

**ტელ. 599 29 14 18;**

**599 58 75 32.**

## სულთათანა

# დაუვიწყარი



დაუვიწყარი იყო ჩვენი, ჩემი და ზემფირას ურთიერთობა, რომელიც 30 წლის წინ დაიწყო. ახალგაზრდა ექიმს მხარში დადგომა მჭირდებოდა, ასპირანტურაში ვსწავლობდი და ვმუშაობდი გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებზე. ამას წარმატებითართმევდა თავს ქალბატონი ზემფირა. შემდგომ მან ორგანიზაცია „ძლევაიში“ დაიწყო მუშაობა და შემოიტანა სითბო, სიყვარული, მომთხოვნელობა, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა. იყო მკაცრი, მაგრამ გულით სათუთი, სანდომიანი ქალბატონი. ერთი დღე არ მახსოვს, რომ მისთვის შენობით მიმემართა. დიდ სიყვარულს გამოსცემდა და სხვასაც აიძულებდა იგივე სითბოთი ეპასუხა. მას ოთარაანთ ქვრივს ვეძახდით, რადგან იყო ურთიერთობაში თავდადებული, მიზნის მიღწევაში — შეუპოვარი, მიზანსწრაფული, აკეთებდა დიდ საქმეს და არ შეგამჩნევიებდა, რომ უკურნებელ სენს ატარებდა.

ასეთი დარჩა სიცოცხლის ბოლო წუთამდე! ასეთი თვისებების გამო, ჩვენ მას დავარქვით „დაუვიწყარი“. ქალბატონმა ზემფირამ „ძლევაიში“ გამოზარდა შესანიშნავი კადრები ლაბორატორიული საქმიანობისათვის. მისი სახელის უკვდავსაყოფად „ძლევაის“ ლაბორატორიას დაერქვა ზემფირა ჩავლეშვილის სახელობის კლინიკური ლაბორატორია.

მსუბუქი ყოფილიყოს, ქალბატონო ზემფირა, შენს გულზე დაყრილი მიწა, სული კი იმ მარადიულ სავანეშიც, სამოთხე რომ ჰქვია, კვლავაც სითბოს და სიყვარულს გამოსცემდეს და ასხივებდეს.

„ძლევაის“ კოლექტივის სახელით

**ავთანდილ ჩხიკვიშვილი.**

# მინდია კობაძის ხსოვნას

1 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ოჯახიდან წახვედი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებდი ზეციურ სასუფეველში.

შენ ისე იცხოვრებ იმ დუნიაზე, რასაც ვაჟკაცის ცხოვრება ჰქვია.

უშენობას მწარედ განვიცდით, 3 შვილი, 9 შვილიშვილი და 3



შვილთაშვილი.

ღმერთი ნათელში გამყოფებს.

ჩვენ და შენს ამხანაგებს მხოლოდ ის დასგვრჩენია მოვიდეთ შენს საფლავზე და შენი სადღეგრძელო ვთქვათ, ასეც ხდება.

**მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები.**

# ნონა სვანიძის მოსაგონარი

ვისაც ბახვის საშუალო სკოლაში უსწავლია, ვინც ნონა სვანიძეს იცნობდა დამეთანხმება, რომ იგი გახლდათ უსაზღვრო, დაუშრეტელი ენერგიის, მუდამ საქმიანი, ერთი შეხედვით მკაცრი, მაგრამ საოცრად კეთილი, პრინციპული და სამართლიანი ქალბატონი. ათეული წლების მანძილზე დირექტორის მოადგილე იყო სააღმზრდელო დარგში .რამდენი ზეიმი, ღონისძიება ჩატარებულა უშუალოდ მისი თაოსნობით და ინიციატივით. მრავალმხრივ ნიჭიერს, გამორჩეულს ,საოცარი უნარი გააჩნდა აეყოლიებინა კოლეგები სიახლეების დასანერგად, მუდმივად თვითგანვითარებაზე ფიქრობდა და ცდილობდა ასაკის მიუხედავად მოწინავე და მისაბაძი ყოფილიყო. ჭეშმარიტი პედაგოგი გახლდათ ყველაზე დიდი უნარით რითაც გვხიბლავდა იყო მისი ტრფიალი ყვავილიებისადმი საკუთარი ეზო -კარი ხომ ედემს ჰქონდა დამსგავსებული, სკოლის მიდამოსაც სახლიდან მოტანილი ვარდებით, ჰერბერებით, აგავებით თუ სხვა ეგზოტიკური მცენარეებით ამშვენიერებდა.

დიდი ოჯახის დიდი დიასახლისი, სამაგალითო მეუღლე, საუკეთესო შვილების აღმზრდელი, არაჩვეულებრივი მეგობარი, ნამდვილი ქართველქალობის ნიმუში ასეთი გვახსოვს ნონა მასწავლებელი.სკოლა მისი ცხოვრების



აზრს, მიზანს,სტიმულს, სიამაყეს წარმოადგენდა.

პედაგოგიური მოღვაწეობის ბოლო პერიოდი მშვიდობაურის საჯარო სკოლაში გაატარა, ბიოლოგიის სწავლებას უძღვებოდა, დირექტორის მოადგილის მოვალეობასაც ასრულრებდა.

ორივე სკოლა მისი ღირსება და სიამაყე იყო. სხვანაირად არც შეეძლო

ამიტომაც ასე გვტკივა და გვენანება.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს!

**ბახვის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი; ოზურგეთის პროფკავშირის რაიონული ორგანიზაცია**



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური დიდი მწუხარებით იუწყება სამობილიზაციო განყოფილების უფროსის **ბადრი გენოს ძე რუსიეშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებული ოჯახს.



ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება **ბადრი გენოს ძე რუსიეშვილის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ქ. ოზურგეთის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგს ნინო ნაცვალაძეს უსაზღვრო ტკივილის, უსაყვარლესი შვილის **ზვიად ბერაძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს მურმან ნაცვალაძეს და იამზე კილურაძეს უსაყვარლესი დისშვილისა და მულისშვილის **ზვიად ბერაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს **ბადრი რუსიეშვილის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# რუსუდან ფეტვიაშვილის სამყარო და მისტიური რეალობა დღევანდელ თვალსაწიერში




ალიონი. გონების განუსაზღვრელი წვდომა, ფიგურებში ჩატეული მთელი სამყარო, უფრო სწორად იდეალიზმისა და მატერიალიზმის ჰარმონიული შეთანაწყობა, ცისა და მიწის ერთობლიობა, ერთი მეორესთვის და პირიქით... ამ სასრულსა და უსასრულობაში არსებული არსი ადამიანისა შესაცნობი და შეუცნობელი, იმაზე დიდი, ვიდრე მოკვდავმყოფობა თუ ჩვეულებრივი უკვდავება, რადგან არის ამ ორივე მცნებას შორის კიდევ უფრო ზეამაღლებული. სწორედ ამ სიმაღლემდე ადის გული და გონება, მხატვარ გრაფიკოსის, რუსუდან ფეტვიაშვილის სამყაროსთან მიახლებისას... ყოველივე ამის მხილველი გახდა ოზურგეთის საზოგადოება მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების ცენტრში გამართულ გამოფენაზე.. რუსუდან ფეტვიაშვილის 21 ნამუშევარი, ორიგინალური ტილოები.. აღსანიშნავია აბრეშუმზე შესრულებული ნახატები, ბიბლიური და ძველეგვიპტური თემატიკა. თითოეულ ნამუშევარში წარმოდგენილი სიცოცხლის მრავალწახნაგოვანი განზომილებები. გიჩნდება გრძნობა, თითქოს ნახატი გესაუბრება და გიცქერის, მისივე თვალსაწიერიდან.

ხატვა ორი წლის ასაკიდან დაიწყო. 6 წლისას უკვე პირველი პერსონალური გამოფენა მოუწყვეს, სადაც 100-მდე გრაფიკული და ფერწერული ნამუშევარი იყო გამოფენილი. შემდეგ ორი პერსონალური გამოფენა მოსკოვში, საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში. 13 წლის ასაკში თავის შემოქმედებასთან ერთად მოიარა პარიზი, ევროპის სხვადასხვა ქვეყანა... 2000 წელს გაიხსნა რუსუდან ფეტვიაშვილის მუდმივმოქმედი გალერეა თბილისში. მისი ილუსტრაციებით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი", „ქართული ხალხური ზღაპრები". მხატვარი შესულია კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის მიერ გამოცემულ წიგნში XX ს-ის 2000 გამორჩეული ადამიანი. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მონაწილეობა მიიღო ხელნაწერი სახარების მინიატურის შექმნაში. მისივე დასურათებით გამოიცა უძველესი, ჩვ. წ-აღმდე IV-III საუკუნეებში შექმნილი ძველინდური ჰიმნი „რამაიანა". ეს მოკლე ბიოგრაფიული ჩანაწერებია ქ-ნი რუსუდანის დიდი ბიოგრაფიიდან.

გამოფენა ხელოვნებათმცოდნელია ურუშაძემ გახსნა. — „ექვსი თვის მანძილზე მიმდინარეობდა მოლაპარაკება მხატვართან, რათა შესაძლებლობა მოგვცემოდა ჩვენთან გამოფენილიყო ეს დიდებული ნამუშევრები. მისტიკა, არქაული სტილი, ზოგჯერ სტილი გარკვეული არც არის, ვერ გაიგებ, სად იწყება და მთავრდება ხაზი, ამიტომაც არ აქვს დასასრული და უსასრულობაში ინაცვლებს ის. სილამაზე, სიმშვიდე, ჰაეროვნება, ძალა, ყველაფერი საოცრად შერწყმულია".

მხატვრის შემოქმედების თავისებურებებსა და გამოფენის მნიშვნელობაზე ისაუბრეს გალერეის დირექტორმა, მხატვარმა ავთანდილ თავართქილაძემ, ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის დირექტორმა მზია კვინტრაძემ, მხატვარმა ვახტანგ მამეიშვილმა, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კობა დუნდუამ, კულტურის სამსახურის უფროსმა მარინა ჯაფარიძემ. გამოფენა კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს და ასევე სასიამოვნოა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქ-ნი რუსუდანი აპირებს ესტუმროს ოზურგეთს და შეხვდეს სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს.

**ნინია იაშვილი**



# განახლებული მუზეუმი–საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა



ალიონი. ახლადრეაბილიტირებული ადმინისტრაციული შენობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკა ანთიძემ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ გახსნეს.

როგორც ნიკა ანთაძემ აღნიშნა ეს იქნება არამარტო მუზეუმი, არამედ საინფორმაციო ცენტრი, საიდანაც დაინტერესებული პირები გურიაში არსებული კულტურული ძეგლების შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას მიიღებენ.

შენობის რეაბილიტაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. განახლდა ექსპოზიცია. სახლ-მუზეუმის საგამოფენო სივრცეში ქრონოლოგიური და თემატური პრინციპით ნაჩვენები იყო ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითადი აქცენტები საარქივო ფოტომასალით, რუქებით და ჩანახატებით, მათ შორის მე-20 საუკუნის რუქა. რუქაზე ყველა ის ადგილია აღნიშნული, სადაც მკვლევარმა სამედიცინო ექსპედიცია მოაწყო. წარმოდგენილი იყო გურიის მხარის არქეოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები და არქიტექტურული ფრაგმენტები გორისციხის ეკლესიიდან.

მუზემის გახსნას გურიის გუბერნატორის მოადგილეები სოსო ერქომაიშვილი და ქეთევან მოისწრაფეშვილი,საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია გამგებლის მოადგილები არჩილ ყაზაიშვილი, ბადრი გობრონიძე, გიორგი ღურჯუმელიძე დაესწრნენ.

# ავტომობილები განვადებით




მიცუბიში აირტეკი – 2002 წ. – 1350
პაჯერო იო – 2002 წ. – 1700
ტოიოტა ვოქსი – 2004 წ. – 1250
ტოიოტა პასსო – 2010 წ. – 1600
ტოიოტა რავ-4 – 2000 წ. – 3100
ნისან ტიიდა – 2005 წ. – 1400
ნისან მარჩი – 2004 წ. – 1000
ნისან ფუგა – 2005 წ. – 2100
ჰონდა ფიტი - 2008 წ. – 1650
ჰონდა ცრვ – 2003 წ. – 2400
ფონდა სივიკი - 2003 წ. – 1200
მაზდა დემიო – 2003 წ. – 900
მაზდა მპვ – 2004 წ. – 1100
მაზდა ტრიბუტე – 2003 წ. – 1300
სუზუკი ქარი ტრიუკი – 1999 წ. – 1150
სუბარუ ფორესტერ – 2002 წ. – 1350
სუბარუ ლეგასი – 2005 წ. – 1700
სიბარუ ოუტბაქსი – 2004 წ. – 1550
მერსედესი ე კლასი – 2003 წ. – 3700
ბმვ 525ი – 2004 წ. – 4050

**ფასები მითითებულია აშშ დოლარში**

მანქანის ჩამოსვლის შემდეგ იხდით კონტეინერის თანხას

**ტელ. 595 11 10 30; ზურა, 598 47 47 03 დათო.**

**მისამართი: ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. №11, მე-2 საჯარო სკოლის გვერდით.**

# ნარდის ჩემპიონატი დასრულდა

ალიონი. ოზურგეთის სპორტის სასახლეში 2 დღეს მიმდინარეობდა ქ. ოზურგეთისა და ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტების ჩემპიონატები მოკლე ნარდში, რომელშიც 100-მდე ნარდის მოყვარული მონაწილეობდა. შეჯიბრებას საქართველოს ნარდის ფედერაციის პრეზიდენტი თეიმურაზ ქურციკიძე უძღვებოდა, ხოლო სპონსორობას „ლიბერთიბეთი" უწევდა.



ნატანებელმა ავთანდილ მახარაძემ ფინალში აკაკი ნაკაშიძეს სძლია (7:3) და თემების მუნიციპალიტეტის ჩემპიონი გახდა. მესამე შოთა ბოლქვაძე იყო.

ქ. ოზურგეთის ჩემპიონატში დაძაბულ ბრძოლაში ბეჟან ცეცხლაძემ გოგი ვაჩეიშვილს სძლია (7:6) და ქ. ოზურგეთის ჩემიონის ტიტულს დაეუფლა.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ნუგზარ რუხაძემ ერეკლე ვადაჭკორიას მოუგო.

გამარჯვებულებს შესაბამისი სინჯის მედლები და ფულადი ჯილდო 200-200 ლარი,(პირველი ადგილი) მეორე ადგილზე გასულებს– 100-100 ლარი, ხოლო მესამეადგილოსნებს მობილური ტელეფონები გადაეცათ.

სპეციალური ჯილდოები გადაეცათ ტურნირის უხუცეს მონაწილეებს არსენ კეჭაყმაძეს, ლადო ხავთასს, რაულ ჟღენტს.

საქართველოს ნარდის ფედერაცია ანალოგიურ ტურნირებს ჩაატარებს ლანჩხუთსა და ჩოხატაურში. შემდეგ თითოეული მუნიციპალიტეტის 8-8 უძლიერესი მონარდე გურიის ჩემპიონატში იასპარეზებს. გამარჯვებულები საქართველოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას, ხოლო შემდეგ, მონაკოში,–მონტეკარლოში.

ნარდის ჩემპიონატს მხარდაჭერა არ მოკლებია ადგილობრივი ხელმძღვანელობიდან. ოზურგეთის ნარდის ფედერაციის თავმჯდომარის, თამაზ სალუქვაძის თქმით, ისინი მომავალში არაერთი ტურნირის ჩატარებას გეგმავენ. ერთ-ერთი საინტერესო ტურნირი ქალთა სარვამარტო ჩემპიონატი იქნება.



# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა +7+11 | წვიმა +8+11 | წვიმა +8+10 | ძლიერი წვიმა +8+11 | წვიმა +7+13 | მზე +12+18 | მზე +14+21 |
| 9 ნოემბერი ორშაბათი | 10 ნოემბერი სამშაბათი | 11 ნოემბერი ოთხშაბათი | 12 ნოემბერი ხუთშაბათი | 13 ნოემბერი-პარასკევი | 14 ნოემბერი შაბათი | 15 ნოემბერი კვირა |